შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს "ბლექ სი არენა ჯორჯია"

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 15
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული 16
6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან 17
7. შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან 17
8. სხვა საოპერაციო ხარჯები 17
9. ფინანსური შემოსავალი, ნეტო 17
10. ძირითადი საშუალებები 18
11. აქტივის გამოყენების უფლება 19
12. არამატერიალური აქტივები 20
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები 20
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
16. საგადასახადო ვალდებულება 22
17. საიჯარო ვალდებულებები 22
18. გადავადებული შემოსავალი 22
19. პირობითი ვალდებულებები 23
20. ფინანსური რისკების მართვა 23
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან 25
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 26

მმართველობითი ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 28
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 28
3. სუბიექტის განვითარების გეგმები 29
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 29
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 30
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები 30
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 30

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #11,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს ბლექ სი არენა ჯორჯიას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ თანდართულ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - *„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“*- ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიის საწესდებო კაპიტალში 2016-2022 წლებში შეტანილია არაფულადი აქტივები ძირითადი საშუალებები და მარაგები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნული შენატანების აღიარება უნდა მომხდარიყო სამართლიანი ღირებულებით, ასევე მიღებული ძირითადი საშუალებები უნდა დაქვემდებარებოდნენ გაუფასურებაზე ტესტირებას. ჩვენ ვერ დავრწმუნდით საკუთარი კაპიტალის და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და მარაგების აღიარებული და წარდგენილი ღირებულებების სისწორეში, ვინაიდან ჩვენ არ მოგვეცა საშუალება რომ შემფასებლისგან მიგვეღო ინფორმაცია გამოყენებული დაშვებების, გაანგარიშებების და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 86,611 ათას ლარს (2021 – 86,543 ათასი ლარი). მარაგების ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 486 ათას ლარს (2021 - 486 ათასი ლარი) აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის ფიზიკურ დადასტურებაზე სააკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების ვერ მიღების გამო. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღრიშნული შეზღუდვის ეფექტი შესადარის ნაშთებზე და საანგარიშგებო პერიოდის შედეგებზე. ასევე ჩვენ ვერ დავრწმუნდით რომ სწორად არის გამოყენებული მარაგად კლასიფიკაციისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და საწყისი აღიარებისას სწორად ხდება გამიჯვნა ძირითად საშუალებებსა და მარაგებს შორის. ასევე კომპანიამ შეაფასა არსებითი ღირებულების მქონე უმოძრაო მარაგები და შეამცირა მათი ღირებულება ნეტო სარიალიზაციო ღირებულებამდე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რომ აღნიშნული ეფექტი 794 ათასი ლარის ოდენობით სრულად მიეკუთვნებოდა 2022 წელს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 27-31 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - *„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“* - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - *„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“* - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ECOVIS®
ATA FINANCE

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“ "ECOVIS ATA FINANCE" LLC
ECOVIS®
ATA FINANCE
ალ. ბაბაევი • 405193124 • ეკ

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

14 ივნისი, 2023

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

14 ივნისი, 2023

თბილისი, საქართველო.

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021 (რეკლასიფიცირებული)
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	670	131
შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან	7	9,179	4,350
სულ შემოსავალი		**9,849**	**4,481**
ცვეთა და ამორტიზაცია		(5,064)	(4,948)
შრომის ანაზღაურება		(2,575)	(2,401)
გადასახადები		(873)	(583)
კომუნალური ხარჯები		(525)	(604)
არტისტების და სხვა საკონცერტო მომსახურების ხარჯები		(468)	(205)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,043)	(831)
საოპერაციო ზარალი		**(3,699)**	**(5,091)**
ფინანსური შემოსავალი, ნეტო	9	525	86
საკურსო მოგება/(ზარალი)		(19)	(14)
ზარალი დაბეგვრამდე		**(3,193)**	**(5,019)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		**(3,193)**	**(5,019)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 14 ივნისს:

ტარიელ ხარჩილავა
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი

ნინო პაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი
ბუღალტერი

5-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	**2022**	**2021 (რეკლასიფიცირებული)**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	670	131
შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან	7	9,179	4,350
სულ შემოსავალი		**9,849**	**4,481**
ცვეთა და ამორტიზაცია		(5,064)	(4,948)
შრომის ანაზღაურება		(2,575)	(2,401)
გადასახადები		(873)	(583)
კომუნალური ხარჯები		(525)	(604)
არტისტების და სხვა საკონცერტო მომსახურების ხარჯები		(468)	(205)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,043)	(831)
საოპერაციო ზარალი		**(3,699)**	**(5,091)**
ფინანსური შემოსავალი, ნეტო	9	525	86
საკურსო მოგება/(ზარალი)		(19)	(14)
ზარალი დაბეგვრამდე		**(3,193)**	**(5,019)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		**(3,193)**	**(5,019)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 14 ივნისს:

ტარიელ ხარჩილავა
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი

ნინო პაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი
ბუღალტერი

5-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	65,897	66,853
აქტივის გამოყენების უფლება	11	-	26
არამატერიალური აქტივები	12	293	410
სულ გრძელვადიანი აქტივები		**66,190**	**67,289**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	269	1,045
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,950	2,308
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	68,503	3,171
სულ მიმდინარე აქტივები		**71,722**	**6,524**
სულ აქტივები		**137,912**	**73,813**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		94,189	94,121
დაგროვილი ზარალი		(26,626)	(23,433)
სულ კაპიტალი		**67,563**	**70,688**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	16	275	15
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	17	-	29
გადავადებული შემოსავალი	18	70,000	3,000
სავაჭრო ვალდებულებები		74	81
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**70,349**	**3,125**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**137,912**	**73,813**

5-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	**94,000**	**(18,416)**	**75,584**
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(5,019)	(5,019)
ოპერაციები მესაკუთრეებთან:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	123	-	123
31 დეკემბერი 2021	**94,123**	**(23,435)**	**70,688**
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(3,193)	(3,193)
ოპერაციები მესაკუთრეებთან:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	68	-	68
31 დეკემბერი 2022	**94,191**	**(26,628)**	**67,563**

5-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობა		
წლის სრული ზარალი	**(3,193)**	**(5,019)**
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	5,064	4,948
არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა	192	-
ფინანსური ხარჯი	1	13
უიმედო ვალების რეზერვი	1,873	-
მარაგების რეზერვის ხარჯი	794	
საპროცენტო შემოსავალი	(526)	(86)
საკურსო (მოგება)/ზარალი	19	14
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	**4,224**	**(130)**
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(18)	(141)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(2,515)	(247)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	-	271
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში	67,000	3,000
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(36)	(43)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	260	18
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	**68,915**	**2,728**
გადახდილი პროცენტი	(1)	(13)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**68,914**	**2,715**
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(3,967)	(962)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(122)	(9)
მიღებული პროცენტი	526	86
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(3,563)**	**(885)**
ნეტო ზრდა ფულის ან ფულადი ექვივალენტების	**65,351**	**1,830**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**3,171**	**1,355**
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულალდ სახსრებზე	(19)	(14)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**68,503**	**3,171**

5-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

ბლექ სი არენა ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 15 ივლისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405158804.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების და გართობის ინდუსტრიის სფეროში ღონისძიებების ორგანიზება. კომპანიის კუთვნილ საკონცერტო დარბაზში იმართება ადგილობრივი და საერთაშორისო არტისტების შოუები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული პოტენციალისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს უწყობს კულტურული ცხოვრების გააქტიურებას და ტურიზმის ზრდას. უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება კომერციულთან ერთად ატარებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს სოფელ ნატანებში არსებული საკონცერტო დარბაზი, ხოლო სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ. #1.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან მეწილეს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო (203840433), ხოლო 2022 წლის 27 ივლისიდან წილის მმართველია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 205438622 (100%). სწორედ მას ეკისრება კომპანიის სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრისა და მიმდინარე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ზედამხედველობა.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებისას გაკეთებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განახლდა სრული შემოსავლის ანგარიშგების ფორმა და წარდგენილი რეკლასიფიკაციები წარმოადგენს აღნიშნული ცვლილების ეფექტს. მენეჯმენტის შეფასებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო რელევანტური და შესაბამისია კომპანიისთვის.

	2021	რეკლასიფიკაცია	2021
შემოსავალი კომერციული საქმიანობიდან	131	(131)	-
საოპერაციო ხარჯები	(5,222)	5,222	-
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	-	131	131
შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან	-	4351	4,350
სულ შემოსავალი	**(5,091)**	**9,573**	**4,481**
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(4,946)	(4,948)
შრომის ანაზღაურება	-	(2,401)	(2,401)
გადასახადები	-	(583)	(583)
კომუნალური ხარჯები	-	(604)	(604)
არტისტების და სხვა საკონცერტო მომსახურების ხარჯები	-	(206)	(205)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(833)	(831)
საოპერაციო ზარალი	**(5,091)**	**-**	**(5,091)**
ფინანსური შემოსავალი	86	-	86
საკურსო ზარალი	(14)	-	(14)
ზარალი დაბეგვრამდე	**(5,019)**	**-**	**(5,019)**
მოგების გადასახადი			
წლის სრული ზარალი	**(5,019)**		**(5,019)**

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები – შესწორებები ბასს 37-ში
- წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება);

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	**ევრო**
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
სპეციალური ტექნიკა და ინვენტარი	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს როგორც განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
პროგრამული უზრუნველყოფა	10
ლიცენზიები	10

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების

წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხოვნამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადა დამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან

კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო

ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

წინასწარი გადახდები. გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა.

კომპანია იჯარით ფლობს მიწის ნაკვეთებს. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 5 წლამდე ვადით, მაგრამ შეიძლება მოიცავდნენ ურთიერთობების გახანგრძლივების შესაძლებლობასაც.

უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

2019 წლამდე, ფინანსურ ანგარიშგებებში იჯარა წარდგენილი იყო როგორ საოპერაციო ლიზინგი (ვინაიდან საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემას ადგილი არ ჰქონია კომპანიისათვის, როგორც მოიჯარისათვის). ამგვარ იჯარებთან დაკავშირებული გადახდები, საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში, წრფივად აისახებოდა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2019 წლის 1 იანვრიდან (ფასს-ზე გადასვლის თარიღი) იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა.

სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა.

აღჭურვილობისა და ავტომობილების, აგრეთვე, მცირეფასიანი აქტივების მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული სახდელები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. მოკლევადიანად განიხილება იჯარები, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატება 12 თვეს.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

ცვლადი საიჯარო სახდელები

კომპანიას არ გააჩნია საიჯარო ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს ცვლად სახდელებს.

საიჯარო ურთიერთობების გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებები

იჯარის ზოგიერთი ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებულ გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებებს. ეს დათქმები გამიზნულია აქტივების მართვის, კერძოდ მათი ოპერაციული მოქნილობის მაქსიმიზაციისაკენ. ამგვარი უფლებების უმრავლესობა წარმოადგენს კომპანიას ექსკლუზიურ პრეროგატივას.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ბადებს ეკონომიკურ მოტივაციას გახანგრძლივდეს არსებული ურთიერთობა ანდა არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. აღრიცხულ იჯარის ვადებში გახანგრძლივებისა და შეწყვეტის ვადები (პერიოდები) გაითვალისწინებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლზომიერად სარწმუნოა ამ კონტრაქტუალური უფლებების გამოყენება.

მოკლევადაინი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. კომპანიამ გათავისუფლების უფლება და დაბალი

ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კომპანია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით.

ნასესხები საშუალებები

ნასესხები საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

გაწეული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება, დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე. მიმდინარე და შესადარის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ძირითადი საქმიანობიდან შემოსავალი არ მიუღია.

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომახმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები რეალური ღირებულებით აღიარდება, როდესაც არსებობს დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია გრანტს მიიღებს და შეასრულებს დაკავშირებულ პირობებს. დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები (სუბსიდიები) მოგება-ზარალში ნეტომდე დაიყვანება შესაბამისი დანახარჯით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა(გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული საღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

შემოსავლის მკვეთრი შემცირება 2022 და 2021 წლებში გამოიწვია რეგიონში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ და პანდემიამ. გასულ საანგარიშგებო პერიოდში პანდემიურმა შეზღუდვებმა ხოლო მიმდინარე პერიოდში რეგიონში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო კომპანიას მოუწია დაანონსებული კონცერტების გაუქმება, რის გამოც 2022 და 2021 წელს კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 3,193 და 5,019 ლარი.

კომპანიის საოპერაციო ხარჯები ყოველწლიურად ფინანსდება სახელმწიფო სუბსიდიით, იმ მიზნით, რომ კომპანიას არ დადგეს ფუნქციონირებადობის შეჩერების რისკის წინაშე, ასევე 2022 წლის ბოლოს კომპანიას უკვე მიღებული აქვს 2023 წლის საოპერაციო დანახარჯების დასაფინანსებლად გამიზნული სახელმწიფო სუბსიდია.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს და გეგმავს 2023 წლის განმავლობაში კონცერტების ჩატარებას საკონცერტო დარბაზსა და მუსიკოსთა პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.**

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი

ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.**

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები(გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვლენოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში.
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- საღრიცხო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში)
- გადავადებული გადასახადთან დაკავშირებული აქტივი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციიდან (ბასს 12-ის კორექტირება)

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- საღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს საღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ საღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ საღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია საღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებზე.

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

	2022	2021
შემოსავალი ბარებიდან	356	90
შემოსავლები ბილეთების რეალიზაციიდან	205	-
შემოსავალი სპონსორებიდან	49	5
სხვა შემოსავალი	60	36
სულ	**670**	**131**

2022 წელს კომპანიამ რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო გადადო კონცერტები და სრული დატვირთვით ვერ მუშაობდა.

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მთხოვნები (შენიშვნა 14)	157	147

7. შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან

რეგიონებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო, კომპანიას ეხმარება სუბსიდიით აღნიშნული გარემოების ფარგლებში, 2022 წელს კომპანიამ მიიღო 9,179 ლარი სუბსიდია, სახელმწიფო გრანტი მიღებულია წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების კომპენსაციის მიზნით.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
უიმედო ვალების რეზერვი	(1,873)	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(794)	-
რესტორნის მარაგების ხარჯი	(237)	(162)
არამატერიალური აქტივების ჩამოწერის ხარჯი	(192)	-
მივლინების ხარჯი	(183)	(140)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(145)	(119)
მარკეტინგის ხარჯი	(117)	(72)
ტრანსპორტირების ხარჯი	(80)	(68)
იჯარის ხარჯი	(63)	-
საპენსიო ხარჯი	(48)	(43)
კომუნიკაციის ხარჯი	(47)	(49)
საკონსულტაციო ხარჯი	(24)	(32)
დაზღვევის ხარჯი	(24)	(25)
სხვა	(216)	(123)
სულ	**(4,043)**	**(833)**

9. ფინანსური შემოსავალი, ნეტო

	2022	2021
საპროცენტო სარგებელი მიმდინარე დეპოზიტებიდან	526	99
იჯარის პროცენტის ხარჯი	(1)	(13)
	525	**86**

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა ნაგებობები	სპეციალური ტექნიკა და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2020	**47,240**	**36,863**	**2,064**	**509**	**828**	**87,504**
შემოსვლა	420	658	-	4	2	1,084
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**47,660**	**37,521**	**2,064**	**513**	**830**	**88,588**
შემოსვლა	2,658	1,275	-	99	2	4,034
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**50,318**	**38,796**	**2,064**	**612**	**832**	**92,622**
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2020	**(1,803)**	**(13,589)**	**(1,242)**	**(109)**	**(165)**	**(16,908)**
ცვეთის ხარჯი	(566)	(3,701)	(413)	(52)	(95)	(4,827)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**(2,369)**	**(17,290)**	**(1,655)**	**(161)**	**(260)**	**(21,735)**
ცვეთის ხარჯი	(597)	(3,832)	(409)	(59)	(93)	(4,990)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**(2,966)**	**(21,122)**	**(2,064)**	**(220)**	**(353)**	**(26,725)**
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	**45,291**	**20,231**	**409**	**352**	**570**	**66,853**
31 დეკემბერი 2022	**47,352**	**17,674**	**-**	**392**	**479**	**65,897**

2022 წელს კომპანიამ შეიძინა 2,183 ათასი ლარის მიწა და 475 ათასი ლარის შენობები.

11. აქტივის გამოყენების უფლება

31 დეკემბერი 2020	**242**
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2021	**242**
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2022	**242**

დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2020	**(139)**
ცვეთის ხარჯი	(77)
31 დეკემბერი 2021	**(216)**
ცვეთის ხარჯი	(26)
31 დეკემბერი 2022	**(242)**

31 დეკემბერი 2021	**26**
31 დეკემბერი 2022	**-**

კომპანიას იჯარით აღებული ქონდა მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებდა საპარკინგე სივრცედ

მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2022	**2021**
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	26	77
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	1	13
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	63	-

12. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ღონისძიებებეს ჩანაწერები	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2020	**275**	**11**	**281**	**567**
შემოსვლა	-	-	9	9
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**275**	**11**	**290**	**576**
შემოსვლა	-	-	122	122
გასვლა/ჩამოწერა	(275)	-	-	(275)
31 დეკემბერი 2022	**-**	**11**	**412**	**423**
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2020	**(82)**	**(2)**	**(37)**	**(121)**
ამორტიზაციის ხარჯი	-	(3)	(42)	(45)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**(82)**	**(5)**	**(79)**	**(166)**
ამორტიზაციის ხარჯი	-	(1)	(45)	(46)
გასვლა	82	-	-	82
31 დეკემბერი 2022	**-**	**(6)**	**(124)**	**(130)**
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	**193**	**6**	**211**	**410**
31 დეკემბერი 2022	**-**	**5**	**288**	**293**

კომპანიამ 2022 წელს იმსჯელა აქტივად აღიარებული ღონისძიებების ჩანაწერების აღიარებაზე და იმის გათვალისწინებით, რომ არ ელის ამ აქტივებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, მოხდა ამ აქტივების აღიარების შეწყვეტა, ვინაიდან არ კმაყოფილდება აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ელექტრო საქონელი	437	443
დამხმარე მასალები	418	412
სათადარიგო ინვენტარი	147	130
საწვავი	32	35
ბარის მარაგები	29	12
სამზარეულოს ინვენტარი	-	13
	1,063	**1,045**
გაუფასურების რეზერვი	(794)	-
სულ	**269**	**1,045**

მარაგის თვითღირებულება, რომელიც მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია ხარჯად შეადგენს 310 ლარს (2021: 198 ლარი)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	157	147
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,809	2,304
სულ	**4,966**	**2,451**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - დებიტორული დავალიანება	(143)	(143)
გაუფასურების ზარალი - გადახდილი ავანსები	(1,873)	-
სულ, ნეტო	**2,950**	**2,308**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები	157	147
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(143)	(143)

	სავაჭრო მოთხოვნები
31 დეკემბერი 2020	**(143)**
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	-
31 დეკემბერი 2021	**(143)**
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	-
31 დეკემბერი 2022	**(143)**

	გადახდილი ავანსები
31 დეკემბერი 2020	**-**
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	-
31 დეკემბერი 2021	**-**
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	(1,873)
31 დეკემბერი 2022	**(1,873)**

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	68,488	3,148
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	15	23
სულ	**68,503**	**3,171**

16. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს, კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარდება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

17. საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	29
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	-	**29**

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**106**
საპროცენტო ხარჯი	13
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(90)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**29**
საპროცენტო ხარჯი	1
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(30)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოკლევადიან (იჯარები რომელთა პერიოდი 12 თვეზე ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს არ აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებებს. ამგვარი იჯარების ხარჯი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარები ცვლადი გადახდებით აღიარებას განაგრძობს როგორც იჯარის ხარჯი.

18. გადავადებული შემოსავალი

გამომდინარე იქედან, რომ კომპანიას აქვს სტრატეგიული დანიშნულება, კერძოდ, ტურისტული დაინტერესების პოტენციალის ზრდის ნაწილში, სახელმწიფო გამოყოფს თანხებს რეგიონის განვითარების მიზნით რისი ნაწილიც არის "ბლექ სი არენა ჯორჯია".

კომპანია წინასწარგანსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში, სუბსიდირდება სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოდან რომელიც თავის მხრივ არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეშ. განსაზღვრული, ნორმატიული ბიუჯეტის ფარგლებში, ზემოთხსენებული ინსტიტუტი იღებს გადაწყვეტილებას და წინასწარ ურიცხავს კომპანიას მომდევნო საანგარიშგებო წლისთვის გასაწევი საოპერაციო ხარჯის დასაფარად სუბსიდიას. ამ საფუძვლებზე დაყრდნობით, აღნიშნული შემოდინება ვერ ჩაითვლება დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შენატანად და კლასიფიცირდება როგორც სუბსიდია.

2022 წელს კომპანიამ მიიღო 70,000 ლარი 2023-2024 წლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების მიზნით. აღნიშნული თანხა მოიცავს, როგორც არტისტების ჰონორარებს, ასევე ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მივიჩნევთ, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

20. ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი რისკის მატარებელს და შესყიდვები კი ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157	147
ფული და ფულის ეკვივალენტები	68,503	3,171
სულ ფინანსური აქტივები	**68,660**	**3,318**

კომპანიის მენეჯმენტი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკს არ განიხილავს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკად.

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157	-	-	**157**
ფული და ფულის ეკვივალენტები	68,488	3	12	**68,503**
სულ ფინანსური აქტივები	**68,645**	**3**	**12**	**68,660**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74	-	-	**74**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**74**	**-**	**-**	**74**

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	147	-	-	**147**
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,148	23	-	**3,171**
სულ ფინანსური აქტივები	**3,295**	**23**	**-**	**3,318**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	81	-	-	**81**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,376**	**-**	**-**	**3,399**

კომპანიას არ აქვს ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული არსებითი რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ აქვს სასესხო ვალდებულებები.

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფული დაფარვის ვადების მიხედვით:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74	-	-	**74**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	81	-	-	**81**

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

• უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
• გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიულ გადაწყვეტილებების მიღებაში.

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	246	251

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ბლექ სი არენა ჯორჯია (შემდგომში „ კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ტარიელ ხარჩილავა, დირექტორს დანიშვნასა და გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების და გართობის ინდუსტრიის სფეროში საქმიანობა. „ბლექ სი არენას“ საკონცერტო დარბაზში, იმართება მსოფლიო აღიარების მქონე ვარსკვლავლავების წარმოდგენები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული პოტენციალისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2022 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ტარიელ ხარჩილავა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2022 წლის შემოსავალმა შეადგინა 9,849 ლარი, რაც 120%-ით აჭარბებს 2021 წლის ანალოგიურ მონაცემს. შემოსავლის 93% შედგება სახელმწიფოსგან მიღებული სუბსიდიისგან.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:

	2022	2021
სულ შემოსავალი	9,849	4,481
სულ აქტივები	137,912	73,813
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	120	109

2.ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები(გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-ს პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში უნიშვნელოდ შეიცვალა და გახდა 120. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიას ღონისძიებების ორგანიზებაში და მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან ურთიერთობაში ძირითადად პარტნიორობას უწევენ შემდეგი კომპანიები: DOMINUS CREATIVA d.o.o, CREATIVE MANAGEMENT LTD და სხვა. კომპანიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ მსურველს. ასეთი მასშტაბის ღონისძიებები ხელს უწყობს ტურიზმის სფეროს კიდევ უფრო განვითარებას

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან:

კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას საგადასახადო შემოწმება დაარსების დღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე პერიოდში არ გაუვლია.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების სააგენტოს და პროცესში ჩართულ სხვა მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავდეს ისეთი მოდელი რაც შესაძლებელს გახდის მაღალი დონის ღონისძიებების ორგანიზებას წელიწადის ყველა დროს და ამავდროულად მოიზიდავს მაყურებელს როგორც ქვეყნის შიგნიდან ასევე რეგიონის მასშტაბით.

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს ღონისძიებების ხარისხი და მაყურებლებს შესთავაზოს ხარისხიანი სანახაობა, რაც ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტების მოზიდვას.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს შოუბიზნესის სფეროში, მუდმივად ზრუნავს აპარატურის განახლებაზე, რათა ნებისმიერი მსოფლიო დონის ვარსკვლავისთვის შესაძლებელი და სასურველი იყოს ‘ბლექ სი არენას“ დარბაზში ღონისძიების გამართვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2022	2021	გადახრის ახსნა
ფული და ფულის ეკვივალენტები	68,503	3,171	შენიშვნა 1
გადავადებული შემოსავალი	70,000	3,000	შენიშვნა 1

შენიშვნა #1:

2022 წლის დეკემბერში კომპანიამ მიიღო სახელმწიფო სუბსიდია(70,000 ლარი), რომელიც მიეკუთვნება 2023-2024 წლებში ჩასატარებელი კონცერტების სუბსიდირებას.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკენომიკური პარამეტრები:

	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,671.9	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, გამომდინარე იქიდან რომ კომპანიის საოპერაციო შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბილეთების რეალიზაცია, როგორც წესი გადახდა ხდება მომენტალურა შესყიდვისთანავე. შესაბამისად საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვანი კომპანიისთვის.

7.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები(გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 14 ივნისს:

ტარიელ ხარჩილავა
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი

ნინო ჭაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი
ბუღალტერი

7.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები(გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 14 ივნისს:

ტარიელ ხარჩილავა დირექტორი	ვახტანგ ტუკვაძე ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
ნინო პაპიშვილი ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი	